საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1275/01
03/02/2020

1275-01-2-202002031527

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“
მის: *ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 23 იანვრის №986 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომში ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, კომპანიას დაგეგმილი აქვს არსებული დანადგარის “BENINGHOVEN”-ის წარმოების „MBA 1250“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარით ჩანაცვლება.

გაცნობებთ, რომ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ 2019 წლის 25 ივლისს სამინისტროში წარმოდგენილი იყო განცხადება N 10748, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომში ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილი იყო იმავე დანადგარის, კერძოდ, “BENINGHOVEN”-ის წარმოების „MBA 1250“ მარკის მობილური დანადგარის განთავსება, რაც თქვენს მიერ ამჟამად არის წარმოდგენილი, სკრინინგის განცხადებით. აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტროს მიერ 2019 წლის 9 აგვისტოს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება N2-766, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში ინფორმაცია არ არის მოცემული. სკრინინგის განცხადებით დადგინდა, რომ ცვლილება ეხება მხოლოდ ასფალტის დანადგარში ბუნებრივი აირის ნაცვლად დიზელის საწვავის გამოყენებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადებაში დეტალურად უნდა იქნეს განხილული ასფალტის საწარმოში დაგეგმილი ცვლილების საკითხი და ამ ცვლილების საჭიროების დასაბუთება.

გარდა ამისა, თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, 2017 წლის 16 ნოემბერს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N56. თუმცა, განცხადებას თან ერთვის N2-578 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც გაცემულია N82 (9.11.2017) ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

ვინაიდან წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, “BENINGHOVEN”-ის წარმოების „MBA 1250“ დანადგარი საწვავად იყენებს დიზელის საწვავს, განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწვავის შესანახი რეზერვუარების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების/დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე